სამშენებლო მასალების და დამხმარე სამშენებლო მასალების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
სატენდერო კომისიის სხდომის
ოქმი №1

თბილისი 21 თებერვალი, 2022 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა:
სატენდერო კომისიის თავმჯდომარე - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესყიდვების სამსახურის უფროსი – ლანა ჯიბლაძე.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:
სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის უფროსი) - ხათუნა გოგოხია.
სატენდერო კომისიის წევრები: ნონა წიკლაური, გია აბულაძე, ლაშა ლობჯანიძე.
სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: თენგიზ ჯუღელი.

დღის წესრიგი:
ელექტრონული ტენდერის საშუალებით **სამშენებლო მასალების და დამხმარე სამშენებლო მასალების** სახელმწიფო შესყიდვის შესახებ სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა, დამტკიცება და შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა.

მოისმინეს კომისიის აპარატის წევრის, თენგიზ ჯუღელის გამოსვლა:
სსიპ ,,საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს'' შესყიდვების სამსახურში წარმოდგენილია სააგენტოს სამეურნეო სამსახურის უფროსის, გიორგი სუთიძის 2021 წლის 21 დეკემბრის №585007/17 და 2022 წლის 8 თებერვლის #65213/17 მოხსენებითი ბარათები, რომელთა თანახმად, სააგენტო საჭიროებს აღნიშნულ მოხსენებით ბარათებზე თანდართულით ცხრილებით გათვალისწინებული **სამშენებლო მასალების და დამხმარე სამშენებლო მასალების** შესყიდვას.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესყიდვების სამსახურმა მოამზადა და სატენდერო კომისიის წევრებს გადასცა სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი, რომელიც არის გაერთიანებული კლასიფიკატორის შემდეგ კოდში: CPV-44100000 – **სამშენებლო მასალების და დამხმარე სამშენებლო მასალები**. ამასთან, სატენდერო კომისიის წევრებს შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მიზნით, გადაეცათ ბაზრის კვლევის შედეგები.

განიხილეს:
სატენდერო კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ **სამშენებლო მასალების და დამხმარე სამშენებლო მასალების** სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებით წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია მისაღებია.
ბაზრის კვლევის შედეგების გათვალისწინებით მიზანშეწონილია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვროს 24174.00 ლარი.

კომისიამ დაადგინა:
1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12[1] მუხლის მე-4 პუნქტისა და „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის #12 ბრძანების მე–15 მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად, სატენდერო კომისიამ დაამტკიცა წარმოდგენილი სატენდერო პირობების პროექტი.
2. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვროს 24174.00 ლარი.
3. შესყიდვის ობიექტის იდენტიფიკაცია განისაზღვროს კლასიფიკატორის შემდეგი კოდის შესაბამისად: CPV44100000 — **სამშენებლო მასალების და დამხმარე სამშენებლო მასალები.**
4. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12[1] მუხლის მე-2 პუნქტისა და „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის #12 ბრძანების მე-16 მუხლის შესაბამისად, განთავსდეს სატენდერო განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.
5. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესყიდვების სამსახურმა უზრუნველყოს **სამშენებლო მასალების და დამხმარე სამშენებლო მასალების** შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერის გამოცხადება არაუგვიანეს 2022 წლის 21 თებერვლისა.

სატენდერო კომისიის წევრები:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე – ლ. ჯიბლაძე

სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - ხ. გოგოხია

სატენდერო კომისიის წევრი – ნ. წიკლაური

სატენდერო კომისიის წევრი – გ. აბულაძე

Gia Abuladze 01009020123

Digitally signed by Gia Abuladze
Date: 2022.02.21 15:14:30

სატენდერო კომისიის წევრი – ლ. ლობჯანიძე

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:

თ. ჯუღელი (სხდომის მდივანი)